№ 53

ხუთშაბათი, 20 მარტი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 53

ხუთშაბათი, 20 მარტი 1897 წ.

**ბაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 2 | 10 — | 6 | 6 — |
| 1 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 0 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომ — ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი თ. კ. ი. მუხრან-ბატონისა № 6/1

5 მარტიდგან 1897 წ. დაიწყო თავისი მოქმედება

## „შუამბაბალი"

ალებ-მიცემის მაღაზიამ,

ჩაის მყიდველთ დაუთმობათ ათის თავზე, ესე იგი მანეთზე ორი შაური.

მაღაზიაში დაცულია სისუფთავე და ზრდილობა მუშტარისადმი.

სადაც მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ პირიანად: სანოვაგე ყოველ-ვარი სასხნილო და სამარხვო; კონსერვები; სანელი; ხილეული; შაქარი, ი, ყავა, შეკოლადი და კაკაო; ღვინოები სხვა-და-სხვა ფირმებისა; არყე- და სასმელები სარაჯიშვილისა, რუსეთისა და საზღვარ-გარეთისა: სიგა ა, პაპიროზი, თამბაქო, გილზები სხვა-და-სხვა ქარხნებისა; საყოველდღეო აჭირო საგნები, როგორც მაგალითად,—საპონი, სანთელი, წკირა (სპიჩ-ა), ქაღალდები, მელნები, სახამებელი, ვაქსი, პარაფინი, ჟელატინი, სათა-აშო ქაღალდი და სხვა და სხვა.....

(3—90—2)

### რედაქციისაგან

იმ ხელის-მომწერთ, რომელ-აც ნახევარ წლით აქვთ და-ეთილი გაზეთი შარშანდელ-ლის პირველ იანვრიდგან, გა-ეთის გზავნა მოესპოთ ამ ლის პირველს მარტს, რადგან არშან ოთხი თთვე და ჩვიდმე-ი დღე მიღებული აქვთ გაზე-ი და ეხლაც ერთის თთვისა ა ცამეტის დღის გაზეთი პირ-ელ მარტამდე შეუსრულდათ. ისაც ჰსურს პირველ მარტი-ამ ამ წლის დამლევამდე მიი-ოს გაზეთი, უნდა გამოგზავ-ოს ათის თთვის ფასი გაზე-ისა 8 მან. 33 კაპ.

**ტფილისის სათავად-აზნაურო ადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი**, თავისის 5 არტის დადგენილების თანახმად, უწყებს ამა ბანკის ბ-ნთ **წევრთ-დამფუძნებელთ**, რომ ამიერიდგან დამფუძნებელ წევრებად აღარ იქმ-ნებიან ჩარიცხულნი ისინი, რომელ-თაც მამულის შემოსავლისა თუ გლე-ხთა განთავისუფლების გამო მიღე-ბულ ფულის კვალობაზედ ნება აქვთ წევრად ყოფნისა, თუ თხოვნა წევ-რად ჩარიცხვის შესახებ შემოტანი-ლია სხვათაგან, თუნდა უმახლობე-ლესი ნათესავებიც იყვნენ ეს სხვანი, და იმასთან ერთად არ არის წარმო-დგენილი წერილობითი თანხმობა ანუ ქაღალდი რწმუნებისა თვით იმა-თი, რომელნიც უნდა ჩარიცხულ იქმნენ დამფუძნებელ წევრებად.

(3—6.—3)

ქართული თეატრი

ოთხშაბათს 26 მარტს,

ქართულის დრამატიული დასის არ-ტისტების მიერ, სცენარიუსის ა. თამაზიშვილის სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება

I

მზის დაბნელება საქართველოში

კომ. 3 მოქ. თხზ. ანტონოვისა.

II

დაცრიალდა ჯარა

კომ. 1 მოქ. კ. ყიფიანისა.

დასასრულ **ლეკური**

ანტრაქტებში დაუკრავს სამხედრო მუსიკა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, ნიკოლაშვილისა, რჩეულოვისა, კუნდელი. ბ-ნნი აბაშიძე, გედევანოვი, სვიმონიძე, კანდელაკი, შათირიშვილი, ადამიძე, საფაროვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი ვ. აბაშიძე.

ტფილისი, 19 მარტი.

კარგა ხანია, რაც აქაურმა რუსულმა გაზეთებმა გამართეს ცხარე საუბარი სომხების თაობაზე ჩვენში. საგნად ერთმანეთთან დაჯახებისა ის გულ-ახდილად კადნიერი მოქმედება სომხებისა შეიქმნა ჩვენში, რომ ტფილისში სომხობამ ხელთ იგდო ქალაქის თვით-მართველობა და აღარავის სხვა თესლის კაცს, რომელთა საერთო რიცხვიც 53% მკვიდრთა შეადგენს, არ იკარებენ და როგორც ჰსურთ, ისე ჰბატონობენ და ჰპატრონობენ სრულად სხვისს დედა-ქალაქსა. ვინც იცის ყოვლად ცნობილი თვისება და თვითება აქაურ სომხობისა, რომელიც ეროს უფრო ჰგავს, სულ თავისაკენ მთლიანს და არა ხერხსა, რომელსაც თავისაკენაც გამოაქვს და სხვისაკენაც გააქვს, ის ადვილად მიხვდება რა გულთბილი და გულკეთილი პატრონი ეყოლება სხვებსა, სომხებთან ერთად მცხოვრებელსა, თუ მართლა სომხებმა დაიჩემეს სხვისი პატრონობა ტფილისში.

რომ დაიჩემეს და მოირჩნენ და ამას გულ-ახდილად იძახიან კიდეც,—ეს აღარავისათვის დამალული არ არის. ისე ხელის გულიც ადვილად დასანახავი არ არის, როგორც ეს ამბავი. ეს ყველასათვის ცხადია და თვითონ აქაური სომხობაც ამას არამც თუ უარს არა ჰყოფს, პირ-იქით, იქადის კიდეც „ტფილისის ლისტოკის" პირით, ასეც უნდა იყოსო: ქალაქი ტფილისი ჩვენი საკუთრებაა და მისი სვე-ბედი ჩვენს ხელთ უნდა იყოსო. ამისთანა ქადილს და ბევრს კიდევ სხვას გულ-ღვიძლს თავისს ადგილას გავუსინჯავთ და მაშინ დავინახავთ შიგ რა ჰყრია.

ეხლა-კი ამას ვიტყვით, რომ გაზეთმა „კავკაზმა" ამისთანა მდგომარეობა ტფილისის საქმეებისა მეტისმეტ უსამართლობად იცნა და გამოესარჩლა სხვა თესლის მკვიდრთა, რომელიც ტფილისში სცხოვრებს და რომელსაც სომხების წყალობით პირში ჩალა აქვთ გამოვლებული. რა თქმა უნდა, ამისთანა სარჩლს „კავკასისას" ყური არ მოუყრუეს აქაურმა სხვა რუსულმა გაზეთებმა და ასტყდა ერთი დავიდარაბა და წეწვა-გლეჯა. უღონოთა ღონე ხომ მოგეხსენებათ რა არის? ხავსია, რომელსაც წყალ-წაღებული ხელსა სჭიდებს ხოლმე, როცა სხვა ყოველს ღონეს მოკლებულია. რომ მოპირდაპირენი ვერას გახდნენ, ერთს ლიბერალურს ფრაზას ჩაჰკიდეს ხელი და დღევანდლამდე ამასა ჰხედნიან. ყველამ იცის, რომ ეხლანდელს დროში დევნა და ძულება ეროვნული, ერთმანეთის შეუწყნარებლობა, ერთმანეთის გაუტანლობა იმის გამო, რომ შენ სხვა თესლისა ხარ და მე სხვა თესლისა და ერთად ვერ გვეცხოვრებაო, მარტო ბრიყვის და უვიცის მოძღვრებაა და სამართლიანად გასაკიცხი ყოველ პატიოსან და გონება-გახსნილ კაცისაგან.

აი სწორედ ამ გზით მოუარეს „კავკასსა" და შესწამეს შენ დევნა და ძულება ეროვნული გინდა ჩამოაგდო ჩვენში, გინდა სომხები და ქართველები ერთმანეთს სამტროდ გადაჰკიდო და ესეთი საქციელი რა საკადრისია ეხლანდელ დროშიო. საკადრისი არ არის, მართალია, ხოლო ერთი ჩავუფიქრდეთ ამ „კავკასის" მიერ ატეხილს ამბავსა და ჩვენს თავსავე ვკითხოთ: ეროვნულის დევნისა და ძულების ატეხა აქ რა შუაშია?

სხვა არა იყოს-რა, მარტო ამ გარემოებას დავუკვირდეთ: სომეხი კადნიერად და მოურიდებლად იჩემებს ქართველის დედა-ქალაქს, სადაც სომეხი, სწორედ რომ ვსთქვათ, ხიზანია და ქართველი ბინადარი, ადგილის კაცი. რა ჰგონიათ დევნა-ძულების მოძულეთა, ეს ამბავი დიდის სიყვარულის დამთესავია? აი თუ სადმე დევნა-ძულებაა, მიზეზი სად არის, თუ სამართლით განსჯა სასურველია. შემოხიზნული კაცი პატრონს ეუბნებოდეს, მე ვარ, რაცა ვარ, შენ ვინა გდიხარო,—ეს-კი დევნა-ძულების ამტეხი არ არის და ის-კი ამტეხია, რომ დაჩაგრულმა და უმადურობით გაოცებულმა პატრონმა ხმა ამოიღოს, ეს კაცი მადლობის მაგიერ უყურეთ რა ოინს მიშვრებაო: სახლიდამ, საცა მე შევიხიზნე, ჩემის სისხლით შევინახე მტრისაგან და ჩემის ოფლით ვკვებე და გავაძღეო, ეხლა მე მითხოვსო, თითონ უნდა ჩემს სახლში მარტო ყოფნა და მე-კი გარედ მაგდებსო.

დაუფიქრდით ამ ორს გარემოებას და გულზე ხელის დადებით გვითხარით: ამ ორს შემთხვევაში ვინ არის ამტეხი დევნა-ძულებისა? ის, რომელიც ასე ექცევა სახლის პატრონს, თუ სახლის პატრონი, რომელსაც სხვა დანაშაული არა მიუძღვის-რა გარდა იმისა, რომ არ უნდა თავისის სახლიდამ გამოგდებულ იქმნას, თავისს სახლში ხმა-ამოუღებელი იყოს და ამას საქვეყნოდ ჰღაღადებს და სჩივის. ჩაგრულია მიზეზი დევნა-ძულების ატეხისა, თუ მჩაგვრელი? ამას განა დიდი ხაზი და ლარი უნდა, თუ ჰკუა ჰკუისა და გული გულის ადგილასა აქვს ადამიანს და თვალებზე ხელს არ იფარებს განგებ, რომ მართალი არ დაინახოს.

როგორ არის ეს? მტაცებელი-კი სიყვარულის დამთესია და ამისი გამხილებელი-კი დევნა-ძულებისა! ეს რომელ ტიბიკონში სწერია? მაშ გავუჩუმდეთ, ვთქვათ, მტაცებელს იმის შიშით, რომ დევნა-ძულება ჩამოვარდება და ამის ატეხა საკადრისი არ არის? თუ-კი მტაცებელია სადმე,—იქ მარტო მტაცებელი არის დევნა-ძულების მიზეზი და ამის დევნა ძულებას თხოულობს ღვთისა და კაცის კანონი და თვით ბუნება ადამიანისა. მაშ ის უფრო საკადრისია, რომ მტაცებელმა ითარეშოს და სხვამ ყველამ პირი წყლით ავივსოთ, ან ბარაქალა ვეძახოთ? აქ საქმე მარტო იმაშია, ტყუილ-უბრალოდ ხომ არავინ არის შეწამებული, უსაბუთოდ გამოყვანილი მტაცებლად. აქ რიდი-კი არ უნდა იმისი, რომ ან მტაცებელი შეგვიძულებს ჩვენ, ან ჩვენ იმას და ამიტომ უნდა ხმა გავიკმინდოთ. პირ-იქით, მთელის რისხვით და წყრომით უნდა მიესიოთ მტაცებელს—სულ ერთია,—ცალკე კაცი იქნება, თუ რაზმად დაწყობილი კრებული და თუ კრებულია, მით უფრო უარესი. მტაცებელს ჯერ იმითი ვძულვართ, რომ გვტაცებს, თორემ სიყვარულით ტაცება არავის გაუგონია, მერე ჩვენც იმიტომ ვდევნით და გვძულს, რომ არ გვინდობს და გვძარცვავს, თორემ სიყვარულით და ლოცვა-კურთხევით არავინ დახვედრია მტაცებელსა და არავის გაუსტუმრებია სახლიდამ დალოცვითა—ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცესო. თავში კაცი თუ კრებული გცემს—ეგ სიყვარულის რგვაა, თუ არ დაგიშლიათ, და გვემული, ან სხვა ვინმე ამ საქციელის მნახველი ხმას იღებს: კაცო, რას იცემები—ეს კი ძულების და დევნის ამტეხია. ეს ასეთი ლოღიკა იმისთანა აქლემია, რომ შეიძლება სომხების წინაც დაიჩოქოს და მაშინ რაღას იტყვიან სომხები?

იქნება ამით მოისურვონ სიტყვა მოგვიჭრან: „კავკასს" ყოველ ამაში რა საქმე აქვს, რად ესარჩლება ჩაგრულთა და დევნულთაო? ის საქმე აქვს, რაც ყოველ პატიოსანს კაცს, რომელიც ვერ შეიფერებს, ვერ შეიწყნარებს, რომ ერთმა სთელოს და სჩაგროს მეორე ცალკე კაცი იქნება, თუ მთელი კრებული, ან მთელი ერი. ეს ასე რომ არ იყოს, ჩაგრულთა სარჩლი და ქომაგობა რომ უუწმიდაესს მოვალეობად არ იყოს აღიარებული ყოველ პატიოსან და გულმართალ კაცისაგან, მაშინ ხომ ეგრედ წოდებული სომეხთა საქმე ოსმალეთში არ გამოიწვევდა იმ სამართლიანს და პატივსადებს თანაგრძნობას, რომელმაც ქვეყანას, თავისს სასახელოდ, ხმა ამოაღებინა და ამ ხმის სამართლიან რიხისაგან ბევრად ძლიერი ოსმალეთი ყოვლად უძლურ სომეხს შეუშინდა, შეუფრთხა. ეს ხმა რომ არ ყოფილიყო, ოსმალეთი ისე მალე მოუღებდა ბოლოს სომხობას, როგორც სვავი კურდღელსა: ყლაპად არ ეყოფოდა.

განათლებულმა და გულწმინდა სომხობამ კარგად იცოდა, რომ პატიოსანი კაცი, რომელსაც გულში უღვივის მუდამ სურვილი ჩაგრულთათვის შველისა და შეწევნისა, ბევრია ქვეყანაზე და ამ უტყუარ იმედით გაჰბედა ხსნა სომეხმა თავისის თავისა მჩაგვრელთა ხელისაგან. უამისოდ ბრძოლის ატეხა ოსმალეთში მათ მიერ უგუნურება იქნებოდა. და თუ ამ პატიოსან კაცთა სარჩლსა თვისდა მოქმედების ქვა-კუთხედად ჰგიებს სომხობა ჩვენს გარედ, ჩვენში რად უნდა უკვირდეს და იკიცხებოდეს მათ მიერვე, როცა პატიოსანი კაცი, თუნდა უცხოც, ჰხედავს მათგან სხვის ჩაგვრას და ამას გულ-ახდილად ამხელს?

გამხილება-კი არ არის დევნა-ძულების ამტეხი მიზეზი, არამედ გამხილებულის ჩადენა და ქმნა არის. აქ არის სათავე დევნა-ძულებისა და მარტო საბუთიანი გამხილება არის ამ სათავის მოწყვეტის წამალი. აქ ეროვნება და სხვა ამისთანა მაღალ ფარდის სიტყვა მოსატანი არ არის. ქურდს, ვსთქვათ, ქართველსა რომ სომეხმა მსაჯულმა უთხრას, ქურდი ხარო,—ესეც ხომ შეიძლება განგებ გაფიცხებულმა წინდაუხედაობამ ეროვნულ ფეხზე დააყენოს და შესწამოს ეროვნულ დევნა-ძულების ატეხა. ამ გზით ვინ იქნება იმისთანა ჰკუით გლახა, გააფრთხილოს სომეხი მსაჯული: ჰა, ქურდს ქურდად ნუ იცნობ, თორემ ეროვნულ დევნა-ძულებას ასტეხავ და მტრობას ჩამოაგდებ სომეხთა და ქართველებს შორისო. ამით, რასაკვირველია, ქურდი სიხარულით თავს დაიხსნის ხელ-ახლად საქურდავად, მაგრამ გაქურდულს და ერთობ გაქურდვას რა პასუხს მისცემთ? ნუ თუ ეს თვალ-წინ დასაყენებელი საგანი არ არის? და თუ არის, აქ საძიებელი მარტო ის უნდა იყოს, სა

ბუთიანად იცნა მსაჯულმა ქურდი ქურდად, თუ არა. სხვა არაფერი აქ მოსატანი არ არის და შესაწყნარებელი.

გვეტყვიან, რომ აქ მთელს სომხობაზე არის ლაპარაკი და არა ცალკე კაცზე, როგორც თქვენს მაგალითშიო. მართალია, სომხობაზე არის, მაგრამ არა მთელს სომხობაზე. სხვა სომეხთან, რომელნიც ვინ იცის სად არ არიან დასახლებულნი, ჩვენ რა ხელი გვაქვს. ღმერთმა იმათს კაცურ-კაცობას და ადამიანურს სულთა სწრაფვას ხელი მოუმართოს ყველგან. ჩვენ პირველნი გულითადის სიხარულით მივეგებებით ამ მართლადა სასიხარულო ამბავს. აქაურს სომხობაზე თუ ვლაპარაკობთ, ან სხვანი ჰლაპარაკობენ, — ეს სულ სხვა საქმეა. აქ მთელს ერთან საქმე არავის არა აქვს-რა. ყველამ კარგად იცის, რომ არ არის ქვეყანაზე იმისთანა ერი, რომელ შორისაც კარგიც არ იყოს და ავიც. უეჭველია სომხებსაც ეყოლებათ იმისთანა კაცნი, რომლის წინაშე ჩვენც ქუდს მოვიხდით პატივისცემის ნიშნად. აქ ჩვენ ვლაპარაკობთ მარტო ჩვენ სომხობაზე, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, რაღაც ცალკე რაზმად დაეწყო და იმისთანა მოძღვრებას ადგია, რომ თვით გონება-გახსნილ სომეხსაც-კი უნდა ეთაკილებოდეს, არ მოსწონდეს.

ჩვენც გვსურს ჩვენებურ სომხების ბედნიერად ცხოვრება ჩვენშიაც, მაგრამ ისე-კი, რომ სხვისი ბედნიერებაც იწამოს. იწამოს ის, რის მეოხებითაც თვითონვე ჰსურს ყოფნა ქვეყანაზე და ქვეყანაში ცხოვრება და რაც თავისის თავისათვის ჰსურს, ის ისურვოს სხვებისათვისაც. განა ესე კია საქმე ჩვენში, ესე იგი, იქ, სადაც სომხები შემოხიზნულნი არიან, ჩვენის სისხლით დაცულნი მტრისაგან და ჩვენის ოფლით მაძღარნი? აი საკითხი, რომელსაც პასუხი უნდა დინჯად მოფიქრებული, საბუთიანი და არა ლობე-ყორეს მოდება და ლიბერალურ ფრაზების ტყუილუბრალოდ პრანჭვა და ფანტვა. აქ რა ეროვნებაა მოსატანი? რა დევნა, რა ძულებაა, როცა ერთი მეორეს ამხელს — შენ ცუდსა ჰშვრებიო?

თუნდ ეგეც არ იყოს, ეროვნების საქმე კავკასიაში არც სომხების ხელშია, არც ქართველისაში იმ მხრით, რომ ერთიცა და მეორეც ღონე მოკლებულია, ერთმა მეორე სჩაგროს ეროვნების ფეხზე წამოყენებით. მაგის ნებას ან ერთს, ან მეორეს ვინ მისცემს? განა სომხებს შეუძლიანთ ქართველს ნება არ მისცენ თავისი რჯული, თავისი ენა, თავისი სარწმუნოება, თავისი ისტორიული სულთა-სწრაფვა იქონიოს, ან ქართველს შეუძლიან განა ყოველივე ეს ჩამოართვას სომხებსა?

აქ თუ სამდურავი ისმის სომხების მიმართ, მარტო იმის თაობაზე, რომ აქაურ კრებულს სომხებისას მეტად კადნიერად დაუდვია თავისის ცხოვრების სახსრად და საგზლად ერთი მეტის-მეტად შეუწყნარებელი მოძღვრება: ჩვენ და არავინ სხვაო. ამას ეხლა აღარა ჰმალვენ, პირ-იქით, საქვეყნოდ ჰყვირიან კიდეც. რა თქმა უნდა, ზოგი სომეხი აქაც მოიპოვება იმოდენად განათლებული ჭკუითა და გულით, რომ ამისთანა თავ-გასული მოძღვრება სწყინს და ეთაკილება. მაგრამ ჯერ ამათ იმოდენა გავლენა არა აქვთ აქაურს სომხობაში, რომ თვალი აახილებინონ და თავისიანი დააჯერონ, რომ „სულ მე და მარტო მე“ იმისთანა საბოლოვოდ მკვიდრი ნიადაგი არ არის, რომ ამაზე ფეხი მაგრად მოიკიდოს კაცმა, ერთხელაც იქნება ფეხს მოასხლეტინებენ, თუ არ მოატეხინებენ. იმიტომ-რომ სხვასაც ცხოვრება და სიცოცხლე უნდა და ეს სურვილი სხვისა, სომხობისაგან, თუ სხვა ვისგანმე შეგინებული და უარ-ყოფილი, მეტის-მეტად ძლიერია, რადგანაც ბუნებითვე თან-დაყოლილი აქვს ყოველს სულიერს და ნურავინ იფიქრებს, რომ იგი სურვილი ოდესმე ხმას არ ამოიღებს და თავისს დროზე სულთა-მხუთავსავით კარზე არ მიადგება შემგინებელს თავისის მკაცრის და სამართლიანის განაჩენითა.

განა ვერავინ ჰხედავს, რა გზას ადგია აქაური სომხობა? რა თვალად აშკარად დასანახავი ერთიანი ძარღვი სჩანს იმის მოქმედებაში იმისდა მიუხედავად, რომ მათ შორის არიან იმისთანანიც, რომელთაც ძლიერ აწუხებს ამისთანა მდგომარეობა საქმეთა და ვერა გაუწყვიათ-რა, რომ საქმეიმ კაცთმოყვარულ მცნებაზე დააყენონ, რომელიც ერთად-ერთი მოძღვრებაა კაცთა კრებულის საბედნიეროდ და რომელიც გვასწავლის: ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის; შენც იცხოვრე და სხვაც აცხოვრეო. ეს მცნება, ურომლისოდაც ვერა კრებული, ვერა საზოგადოება, ვერა ერი ვერ ჰხეირობს, შესაძლოა კაცმა დროთა ხელ-შეწყობით გასთელოს, მოშუშოს, მაგრამ ძირი მაგარი აქვს, როცა იქნება ამოიხეთქავს და თავისას მოითხოვს უნაკლულოდ. თუ ადამიანი თავისს თავს კაცად ჰხადის, სხვაც უნდა კაცად იგულოს, თორემ თვითვე გაიქულიტება და გაითელება თავისისავე მოძღვრებისაგან. დრო და ჟამი არავის შეარჩენს უსამართლობას, სხვის ჩაგვრას და თელვას.

ჩვენებურ სომხობას ეს დავიწყებული აქვს და ჩვენს გარედ თუმცა სხვის ადამიანობას მთელის თავისის სამართლიანობის უფლებით წინ აყენებენ, ბ თხოულობენ: მეც კაცი ვარ და კაცად მიცანიო, — შინ-კი, ესე იგი, ჩვენში სულ სხვას ჰქადაგობენ, — მე ვარ კაცი და სხვა არავინ მინდა ვიცნო კაცად და ადამიანადაო. ეს მხარე აქაურ სომხობისა, თითქმის საერთო მხარე, ყველას თვალ-წინ გვიდგა და აი აქ არის ის დამალული მშვილდი, რომელიც დაშხამულს ისარს ისვრის ძულებისას და დევნისას.

აქაურს სომხებს, თუ ყოველს ამას აქამომდე უთმობდნენ, ეხლა აღარავინ დაუთმობს. სომხობას, როგორც ერს, აქ არავინ სძულობს, არავინ სდევნის. აქ ეროვნულს მტრობას და ძულებას ადგილი არა აქვს. აქ ჰლალადებს დათრგუნვილი უფლება ადამიანისა, რომლის მიზეზი რაზმად დაწყობილი ჩვენებური სომხობაა. ადამიანისათვის სულ ერთია, ცალკე კაცი ჰლახავს ადამიანურს უფლებას, თუ რაზმად დაწყობილი კრებული. ორგანვე სამართლიანია მდურვა და ყვედრება, თუ-კი დათრგუნვილ უფლების აღსადგენად ილვწიან და იბრძვიან. საკვირველი ეს ღვაწება და ბრძოლა კი არ არის ჭკუათა-მყოფელ კაცისათვის, არამედ უამისობა იქნებოდა, იმიტომ-რომ ლახვა სხვის უფლებისა, მერე იმისთანისა, რომელიც ბუნებითად მინიჭებული აქვს ყოველს ადამიანს, შეუწყნარებელია და დაუზოგველად განსაკითხავი ყოველგან და ყოვლისაგან. შენც იყავ და მეც მამყოფე, განა ბუნებური და სამართლიანი სურვილი არ არის?

დავანებოთ ამას თავი და ერთი ვიკითხოთ: თუ აქ ვინმე ეროვნულ ნიადაგზე გამართულს ძულებასა და დევნას ჰხედავს, ვინ არის ამისი ერთად-ერთი მიზეზი? აქაური სომხები და სხვა არავინ. ვინ გაიცალკევა თავი და შეიკეტა კარი, რომ სხვა არავინ გააჭაჭანოს? მარტო სომხებმა და სხვა არავინ. შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ, მაგალითად, თუნდ სომხების მოქმედება ტფილისში. განა სომხობის სახელით არ მოიმწყვდიეს თავი ტფილისის თვით-მართველობაში და სხვას კარი გამოუგულეს, აქ თქვენ ადგილი არა გაქვთო. აბა ერთი მთელი საბჭო ჩამოთვალეთ, ვინა სხედან? თითო ოროლის გარდა, სულ მთლად სომხები არიან. თუ აქ პროგრამმად მოქმედებისა ტფილისის ავკარგიანობაა და უნდა იყოს კიდეც, ნუ თუ სხვა თესლის კაცნი ამ საქმისა და პროგრამისათვის ხელ-აღებით უვარგისნი არიან, რომ არ ეღირსნენ სომხებთან ერთად ყოფნას საბჭოში. განა ცხადი არ არის, რომ აქ არ მოქმედებდა პროგრამმა და საქმე, ქალაქის კეთილდღეობის შესახები? ეს რომ ასე ყოფილიყო, მეტის-მეტი თავ-გასულობა იქნებოდა სომხებისაგან, რომ ტფილისში სომეხს სომხის მეტი სხვა არავინ ეცნო ხეირიან კაცად ქალაქის მოვლა-პატრონობისათვის. ამ ოთხის წლის წინად მოხდენილმა არჩევნებმა ცხადად დაგვანახვეს, რომ მარტო ერთად-ერთი ღირსება იყო საჭირო, რომ ხმოსნად ამორჩეული ყოფილიყო კაცი. იმას-კი არ კითხულობდნენ, რა უნარის კაცი ხარ, არამედ იმას, — სომეხი ხარ, თუ არაო.

თუ სადმე ეჭვ-მისატანია ეროვნული ძულება და დევნა, ვინ გადაიტანა და ვის გადააქვს დღესაც ამ ნაიდაგზე საქმე? ამისთანა ცხადი მაგალითი ეროვნულ დევნისა და ძულებისა, სხვისაგან ვისი გინახავთ? ვის გამოუვლია ასე თვალ-საჩინოდ და მოურიდებლად პირში ჩალა სხვა ერის წარმომადგენლებისათვის ტფილისში, საცა სცხოვრებს სომეხთან ერთად 53% უწინდელ ანგარიშით და დღევანდელით უფრო ბევრად მეტი სხვა ერის მკვიდრი? ვინ შეიკეტა თავი ცალკე, ვინ გავიდა ცალკე, ვინ შემოივლო გარს ზღუდე ცალკე ეროვნებისა და სხვას არავის არც ეკარება და არც იკარებს ტფილისში? სომხებმა და სხვამ არავინ. აი, საცა სამართალია, სად არის ეროვნული დევნა და ძულება და არა იქ, საცა მარტო მხილებაა ამ გვარების საქციელისა.

გაგვიბატონდნენ ტფილისის თვითმართველობაში, ქალაქი ხელთ იგდეს და თითქო სიცილით გვეუბნებიან: თუ ცხონებაა, ჩვენ, სომხებიც კარგად გაცხონებთო. ვინც იცის რამდენად გულ-უხვია და ხელ-გაშლილი აქაური სომეხი სხვის ცხონებისათვის, იმას, რასაკვირველია, არა დაუშლის-რა ამ იმედით იცხოვროს. ხოლო ძალად, თუნდ ცხონებაც იყოს, კაცს ვერაფრად ეჭაშნიკება და იმ ცხონებაზე ხომ აღარა ითქმის-რა, რასაც აქაური სომხობა ჩვენდა უნებურად გვიქადის.

---

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ, სამსახურის წელთა შესრულების გამო, უფროსობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში მყოფთ: ნადვორნი სოვეტნიკს: ბორჩალოს მაზრის უფროსს თავად სუმბათაშვილს — კოლლეჟსკი სოვეტნიკობა.

კოლლეჟსკი ასესორებს: ქუთაისის მაზრის უფროსის თანაშემწეს თავადს ჩიქოვანს, ქუთაისის მაზრის ბაღდადის ბოქაულს ჟღენტის და სენაკის მაზრის მარტვილის ბოქაულს დგებუაძეს — ნადვორნი სოვეტნიკობა.

ტიტულიარნი სოვეტნიკებს: ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის საქმეთა მწარმოებელს გოცირიძეს, დუშეთის მაზრის საპოლიციო მმართველობის მდივანს ჰონქაძეს და ტფილისის მეათე ნაწილის პოლიციის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელს თავად თუმანიშვილს — კოლლეჟსკი ასესსორობა.

კოლლეჟსკი სეკრეტარს: ოზურგეთის სამაზრო მმართველობის საქმეთა მწარმოებელს ღუდუჩავას — ტიტულიარნი სოვეტნიკობა.

გუბერნსკი სეკრეტარებს: ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის საკანცელარიო მოხელეს სვანიძეს, სტავროპოლის საგუბერნიო მმართველობის საკანცელარიო მოხელეს ხმალაძეს, სენაკის მაზრის პირველ ნაწილის მომრიგებელ-შუამავლის თანამდებობის აღმასრულებელს თავად ერისთავს, ერევნის საგუბერნიო საქალაქო საქმეთა საკრებულოს მდივანს ფარეიშვილს და ახალქალაქის სამაზრო პოლიციის მმართველობის მოხელეს ბარნიშვილს — კოლლეჟსკი სეკრეტრობა.

კოლლეჟსკი რეგისტრატორებს: ქუთაისის თავად აზნაურობის დეპუტატთა კრებულის კანცელარიის მოხელეს ფოფხაძეს, ბორჩალოს სამაზრო პოლიციის მმართველობის მოხელეს მელიქიშვილს, სუხუმის საქალაქო პოლიციის ბოქაულის თანაშემწეს გაგუას, ტფილისის პოლიციის ოკოლოდკის მეთვალყურეს ვაშაძეს და სენაკის სამაზრო მმართველობის მოხელედ ნამყოფს, აწ სამსახურიდგან გასულს სალაყაიას — გუბერნსკი სეკრეტრობა.

კოლლეჟსკი რეგისტრატორობა: სენაკის სამაზრო მმართველობის მოხელეს გაბუნიას, სიღნაღის პოლიციის მმართველობის მოხელეს ტყავაძეს, სიღნაღის ბოქაულის თანაშემწეს ნასიძეს და შუშის მაზრის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელს, თავადს ვაჩნაძეს.

დამტკიცებულ იქმნა ტიტულიარნი სოვეტნიკად ცხინვალის სასოფლო ექიმი ცისკარაშვილი.

ებოძათ უფროსობა კოლლეჟსკი ასესორის ხარისხში ტფილისის გუბერნიის მმართველობის სამკურნალო ნაწილის შტატს გარეშე მყოფს ექიმს თარსაიძეს.

---

# ახალი ამბავი

⁂ სამშაბათს, 18 მარტს, კავკასიის მთავარ-მართებელს თავ. გოლიცინს რამოდენიმე მხლებელი გაუყოლიებია თან და ცხენით ქალაქი დაუთვალიერებია.

⁂ ტფილისის მცხოვრებმა ვასილ ხანდამოვმა ქალაქისაგან მნაცაკანოვის ხიდი დაინარჩუნა იჯარით წელიწადში 7,950 მან. ეხლა, როგორც „ტფ. ფურ.“ გვაუწყებს, ბ-ნ ხანდამოვს პირობის ქაღალდზედ ხელი აღარ მოუწერია და მის მიერ წარდგენილი ბე ქალაქისთვის მიუტოვებია. ამ ნაირად ხსენებული ხიდის შემოსავლის იჯარით გასაცემად ქალაქის გამგეობამ ხელ-მეორედ უნდა დანიშნოს ვაჭრობა.

⁂ ავჭალის სოფლის საზოგადოებას დაუდგენია, რომ რაც ჩვენს საზოგადოებაში დუქნებია, ყველა დაიკეტოს და ახალი დუქნის გაღების ნებას ნურავის მივცემთო.

⁂ ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული გვქონდა, რომ ერთს ბაზაზს ა.—ს ცოლი დაეკარგა, რომელსაც მაშო ჰქვიანო. პოლიცია ამ დაკარგულის ძებნას შეუდგა და კიდეც იპოვნა იგი. აღმოჩნდა, რომ იგი თავისს საყვარელს თერძს ნ—ს გაჰყოლოდა. ქმარი მაშოს ბევრი ეხვეწა, წამოდი სახლში, ისევ ერთად ვიცხოვროთო, მაგრამ მაშო არ დაეთანხმა: „მე შენთან ცხოვრება, დიდი ხანია არ მინდოდა და არც მინდა, მძულხარ და თავი დამანებეო“. ნათესავებმაც ბევრი ურჩიეს დაბრუნდი ქმართანაო, მაგრამ არა გამოვიდარა. ქმარმა სომეხთა კონსისტორიაში თხოვნა შეიტანა, ასეა საქმე და კანონიერად განმაშორეთო. ცოლ-ქმარი კანსისტორიაში 17 მარტს იყვნენ დაბარებულნი. როცა კანსერვატორიიდგან მაშო გარეთ გამოვიდა, ხალხი მისცვივდა მას და ზოგი რას ეუბნებოდა და ზოგი რას. ბევრნი პირი-სახეზედაც აფურთხებდნენ. პოლიციამ ძლივს-ძლიობით მიიყვანა საბრალო მაშო ეტლამდის შალ-მოფარებული და თავ-პირ შებურული, მაგრამ ხალხი არც ამის შემდეგ ჩამოეცალა და პუშკინის ქუჩამდე სტვენით, ჟღივილ-ხივილით და ლანძღვა-გინებით მიაცილეს.

⁂ გაზ. „კავკაზ“-ის სიტყვით, სოფ. ჩობარეთის (ახალციხის მაზრაშია) 12 კომლ გლეხს მთავარ-მართებლისთვის თხოვნა მიურთმევიათ, — აქ ადგილ-მამულის გამო ცხოვრება გვიძნელდება და ყარსის ოლქში მოგვეცით საცხოვრებელი მამულიო.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს ურიათუბნისა და კურდღელაურის (თელავის მაზრა) გლეხთათვის ნება დაურთავს, ვისაც თქვენ შორის პური უჭირს, საზოგადო ბეღლიდგან ფუთი 70 კ. მიჰყიდეთო, ხოლო ძველგავაზის გლეხთათვის-კი — ფუთი ათ შაურად. ეს ფული სამისავე სოფლის გლეხებმა საზოგადო თანხას უნდა მიუმატონ.

⁂ გაზ. „კასპის“ სიტყვით, ბაქოს ქალთა გიმნაზიის დირექტორს საჭიროდ უცვნია, რომ გიმნაზიის წიგნთ-საცავში ისეთი წიგნები მოიპოვებოდეს, რომელშიაც ბაქოს ისტორია საკმაოდ არის განმარტებული. რადგან ასეთი წიგნები გასასყიდლად ვერ უნახავს, ბ-ნ დირექტორს საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიისათვის მიუმართავს და შემდეგი წიგნები უთხოვნია: ხაზართა ისტორია, აკადემიკოსის დორნის თხზულება; შირვანის ისტორია, იმავე ავტორისა, და საქართველოს ის-

იმავე ავტორისა, და აგრე-
ღემიკოსის ბროსსეს თხზუ-

ემიას დირექტორისათვის უც-
, რომ ზემო აღნიშნული წი-
იმნაზიის წიგნთ-საცავს უსას-
ი გამოეგზავნებათ.

ოგორც „ჩერ. ვეს.“ გვაუწ-
ათუმს წითელა მოსდებია.
სამრევლო სასწავლებლის 24
ეუ გამხდარა ავად, რის გამო
ლს სასწავლებელში სწავლა
თ შეუჩერებიათ.

მავე გაზეთის სიტყვით, ბა-
სახადი გაჩენილა. 15 და 16
სამი კაცი დასნეულებულა
თ.

რწო, (თიანეთის მაზრა). წელს
უქი ზამთარი იყო, თუ ამ
არ შეგვაწუხა. რაც მარტი
არეული ტაროსია; ხან წვიმს
ვლს და ხან ქარი ჰქრის.
ის მოსავლის შესახებ ჯერ
რგი ითქმის და არც ავი. რო-
მთა ადგილი გაზაფხული ჯერ
დამდგარა, ბუნებას არ გაუ-
.. ანეულები ისევ შავად
ურება.

ადი-რვა წლის ჰირნახულის
ლობამ და განსაკუთრებით
წლისამ აქაურნი მკვიდრნი
ან გაასწორა... ხალხი აუწე-
ილარიბეში ჩაავდო. თუმცა
ძვირად არა ჰფასობს აქ (ფუ-
0კ.—90კ.) და ტფილისიც
არ არის, სადაც პური უფრო
იყიდება, მაგრამ რით იყიდოს
, როდესაც არაფერი გააჩნია?
კომლში ოთხმოცი კომლი
იქნება, რომელთაც საკმარისი
აქვთ, დანარჩენი ხალხი შემოდ-
ამვე ჰყიდულობს პურს. არიან
ცირედნი ისეთებიც, რომელ-
არულიად არა აქვთ ღონისძიე-
ვისა.

ის მადლობის ღირსია ადგი-
ივი ბოქაული თავადი ვ. გ.
აშვილი, რომელმაც, ვისგანაც
იყო, ნება გამოითხოვა ამ გა-
ის დროს სოფლის პურის მა-
ბიდგან პურის გამოტანისა.
ა ეს საყოველთაო იარას არ
ელებს, მაგრამ ცოტაოდნად
გააგრილებს.

აწუური, (თელავის მაზრა.) ამ
წელიწადმა მოსვლისთანავე სა-
ის ჰირი მოგვილოცა და ბევრს
ანს დიდი ზარალი მისცა. ამინ-
—ყველა თვე თავ თავის სახელ-
ბის დაგვარად იქცევა. თებერ-
ა ქარებით გაიარა. მარტი თავი-
რად დღეში ათნაირად იცვლე-
ამ წელმა ჯერ-ჯერობით ერთი
ად სასიხარულო შესამატი შეგ-
. იანვარში, ახალ-წლის მეორე
, უფასო სახალხო წიგნთ-საცავი
კიარსდა, რომელიც ჩვენშივე არ-
ლ ორ-კლასიან სკოლასთან ერ-
დიდს იმედსა და სიხარულს უნ-
შეადგენდეს ჩვენთვის.

*‸* ქალაქ დუშეთის მმართველო-
მეამდგომლობს გუბერნატორის
აშე, განათავისუფლეთ ჩვენი ქა-
ქი აქაურ სატუსაღოს განათება-
ბობის ხარჯისაგან, რადგან შე-
ება არა გვაქვს ამ ხარჯს გაუ-
ვთო.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. ჩოჩხათი,** (გურია), 3 მარტი. ზოგი ჭირი მარგებელიაო, შავს ჭირზედ მართლდება. ღმერთმა-კი დაგვიფაროს მისის სარგებლობისა და ზარალისაგან, მხოლოდ მისი შიშის მეოხებით ჩვენს სოფელსაც დაეტყო სისუფთავე-სიფხიზლე.

წარსულს კვირას ყრილობამ ამოარჩია, „სანიტარები“, რომლებიც თავგამოდებით შეუდგნენ მათდამი მინდობილის საქმის აღსრულებას და მერე, იმედია, არ უღალატებენ თავისს მოვალეობას. ჩვენში ძალიან ეშინიათ შავის ჭირისა, რადგანაც ახსოვთ მველთაგან გადმონაცემი მისი უღმერთობა, თუმცა დიდი ხანია არ გასტუმრებია.

ბევრს ჭკუას გაიგონს, რა გვარი ავადმყოფობაა, ან წამალი მიუდგება, თუ არა, მაგრამ ამისი ზედმიწევნით მცოდნე არვინ გვყავს. ამისთვის დიდად სასარგებლო საქმეს იზმენ ჩვენი ექიმები, თუ სახალხოდ მდაბიო ენით წიგნაკს გამოსცემენ ამ ჭირის წამლობისა და მოსპობის შესახებ, როგორც ხოლერობის დროსა ჰქმნეს.

ჩვენს სოფელს ამ წელიწადს შედარებით უკეთესობა დაეტყო. ჩვენი ერთკლასიანი სასწავლებელი აქაურის მწერლის და კეთილ შემწიფე კაცთა დახმარებით ორ-კლასიანად გადაკეთდა და მშვენიერი ქვის შენობაც აგვეს მკვიდრთა. აქ, როგორც საზოგადოდ გურიაში, ძალიან სცდილობენ შვილებს შეძლებისამებრ რამმე სწავლა მისცენ. ეს იქიდგან სჩანს, რომ ამ წელიწადს ამ სასწავლებელში ას-ოც-და-ათი მოსწავლე არის და მომავალ ენკენისთვეში სულ ნაკლები ორმოცი შეგირდი მაინც მიემატება და არ ვიცი, ორი მასწავლებელი როგორ აუვა ამ აუარებელს ბავშვთა რიცხვს.

წიგნთ-საცავის დაარსებაც განვიზრახეთ, რისთვისაც იმავე მწერლის მეცადინეობით სოფელმა გადასწყვიტა ყოველ წლივ სამ-სამი თუმანი გადასდოს ამ ფრიად სასარგებლო საქმისათვის, რადგანაც წიგნის კითხვის მსურველი ბევრია, და არავითარი წიგნი არ მოიპოება წიგნთ საცავის სამოსწავლო მზრუნველის საყოველთაო ბრძანებელთა და ანგარიშების მეტი.

ჩვენი აშლილი წყეული გზის უვარგისობა იყო, მაგრამ ჩვენი ჩივილ-გოდება შეიწყნარეს და ახლო მომავალში ამ გზის მოკვეჩავს გვპირდებიან. ღმერთო, შენითა! თუ ეს ჩვენი მარჩენალი გზაც გაკეთდა, მაშინ აღარა გვიშავს-რა და ამ ორის წყევა-კრულვით სახსენებელის წლის ნაკლებს შემდეგ სულს მოვიბრუნებთ. თუმცა ჯერჯერობით სიმინდი ფუთი ექვსს შაურად ჰფასობს და ეს-კი ძალიან მცირე ფასია, მაგრამ ანდაზისა არ იყოს: „ყვავს რომ კაკალი გააგდებინო, ისიც კარგიაო“: წინანდელს სიმინდის ფასს აბაზსა და ხუთს შაურზედ მაინც მეტია, და ეს-კი დიდი შემატებაა ჩვენისთანა გადატაკებულის ხალხისათვის. მარტმა თავისი კოპწია პატარძლის მსგავსება გაამართლა: ამ ორს დღეში ოცჯერ შეიცვალა ნირი: დარი და ქარბუქი ერთმანეთშია არეული.

ა. დარჩიაშვილი

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გუშინდელს გაზ. „კავკაზ“-ში დაბეჭდილია წერილი ვ. გუნიასი გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ეს პასუხად, რომელშიაც ამ გაზეთს ერთხელ კიდევ, ვგონებთ, მეათასედ, უმტკიცებენ, რომ სომეხთა მფარველობის გულის-ტკივილით აღტყინებული ჭეშმარიტებას ჰღალატობ, მართალს ბნელს აყენებ და ბაგეთა შენთაგან სიცრუე წარმომდინარებსო.

ბ-ნი გუნია ქალაქის გამგეობის მოხელეთ ორ ჯგუფად ჰყოფს. პირველს ჯგუფში მოქცეულნი ჰყავს ისინი, რომელთაც ცოტად თუ ბევრად თვალ-საჩინ—თანამდებობანი უჭირავთ.

გამგეობის წევრნი, ექიმები, ტეხნიკოსები, იურისტები, ინჟინრები, ბუხგალტრები, კონტროლიორები, მმართველ-გამგენი, ზედამხედველნი, ეკონომები და სხვანი, რომელთაც წლიური ჯამაგირი 700 მანეთიდგან 6,000 მანეთამდე ეძლევათ. პროცენტის კვალობაზედ რომ ვიანგარიშოთ, ასე გამოვა: სხვა-და-სხვა ეროვნებისანი არიან 3%, ქართველები—6%, რუსები 3% და სომხები—88%.

მეორე ჯგუფში მოქცეულნი არიან ისინი, რომელთა ჯამაგირიც 12 მანეთიდგან იწყება და 49 მან. არ აღემატება. აქ არიან: კარის დარაჯნი, მეონკანენი, მებაღენი, მეეტლენი, ბაზრის მეთვალყურენი და სხვანი ქუცმაც თანამდებობისანი.

პროცენტის კვალობაზედ მათი ანგარიშიც საყურადღებოა: სხვა-და-სხვა ეროვნებისანი არიან 15%, ქართველები—19%, რუსები—29%, სომხები—37%. საერთოდ-კი, ორივე ჯგუფის ანგარიშით, სხვა-და-სხვა ერისანი არიან 9%, ქართველები—$12^1/_2$%, რუსები—16% და სომხები $62^1/_2$%.

რაც შეეხება იმას, რომ მებაღეები სულ ქართველები არიანო, სამართლიანადა ამბობს, რომ ამისი მიზეზი მებაღეთა არ ყოფნაა სომეხთა შორისო.

არავისათვის საიდუმლო არ არის, რომ სომხები, მრავალ ცრუ ისტორიკოსთა აზრის მიუხედავად, ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში ადლის დაჭერასა რჩეობენ, სასოფლო მეურნეობას. თუმცა ფანტაზიის მხრივ ღმერთს არ დავუჩაგვრივარ, მაგრამ სომეხი მებაღედ ვერა და ვერ წარმომიდგენია და ვგონებ შეუძლებელიც არის წარმოდგენაო.

„ნოვ. ობოზ.“-ეს, რომელიც იქადის, ჩვენ სამართლითა და ჭეშმარიტებითა ვართ ამოძრავებულნიო, რად დაავიწყდა ცნობები მოეყვანა იმ დაწესებულებათა შესახებაც, რომლებიც ქალაქის გამგეობას ექვემდებარებიან.

სადასბო? სად არის ცნობები ქალაქის ლომბარდის შესახებ? დაავიწყდათ? ალბად ადრევე გადასწყვიტეს, დავივიწყოთო?! ქალაქის ცეცხლისაგან საურთიერთო დამზღვეველ საზოგადოების შესახები ცნობები? ნუ თუ ესეც დაავიწყდათ? ასე უკვლავრის დავიწყებით, ციფრები-კი არა, თავ-გზაც დაეკარგება ადამიანს!.. ობოლთა სასამართლო? როგორ? ესეც დაივიწყეს? ცუდი საქმე დამართებიათ! ეს დავიწყება-კი არა, რაღაც უცნაური სენი ყოფილა მეხსიერებისა, რომელიც წინ დახვდილი აქვს, ობოლთა სასამართლოს-კი არა, საზოგადოებრივ სასამართლოსა და იმათის სინიდისის კანონებს!...

განა რომ უცნაური მეხსიერება ჰქონია, მკითხველო, გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ეს და მის ჭირისუფალთ—თუმანოვებს? ივიწყებენ იმას, რაც იმათს აზრს ძირს უთხრის, და კარგად ახსოვთ ის, რაც ამავე აზრს, დუხჭირს, სიმართლეს მოკლებულს, კვერს უკრავს! სომხები, რასაკვირველია, დაუმადლებენ გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ს ასეთის მეხსიერებისათვის, მაგრამ არა გვგონია, რომ ქართველთა გული მოიგოს ამ გაზეთმა, თუ ამ მეხსიერებით იარა მოღვაწეობის ასპარეზზედ!..

# უცხოეთი

—

**იტალია.** ეს-ეს არის გაზეთებმა გვაუწყეს, რომ იტალიის პარლამენტის ახალ დეპუტატების არჩევანებზედ მარკიზ დი-რუდინის სამინისტრომ შესამჩნევად გაიმარჯვაო. მართალია, ჯერ არჩევანები სრულიად არ დამთავრებულა, მაგრამ დღემდის რამდენიც აურჩევიათ, ისინიც საკმარისნი არიან, რომ სამინისტროს მომხრენი მომეტებულ ნაწილს შეადგენდნენ პარლამენტში. მთავრობის მომხრე 297 დეპუტატია არჩეული; 97 ხელ-მეორედ უნდა უყარონ კენჭი და 67 შესახებ ჯერ ცნობა არ მიუღიათ. მინისტრები თითქმის ყველანი არჩეულნი არიან, თუმცა განათლების მინისტრის არჩევის შესახებ ყველანი ეჭვობდნენ. ჯერ არ იციან, კრისპი და სონინო (მინისტრად ყოფილნი) არჩეულნი იქმნებიან თუ არა.

ამ ნაირად იტალიის ერმა დი-რუდინის პოლიტიკა მოიწონა, რომელიც ამბობს, რომ შორეულს ქვეყნებში ბედის ძებნას თავი დავანებოთ, რადგან ეს ერთი სახიფათო საქმეა და დიდის ხარჯისა და ხანის მეტს სხვას არას შეგვძენსო. ისა სჯობს, მთელი ჩვენი ძალ-ღონე ჩვენს შინაურს საქმეებს მოვანდომოთ და ევროპის აწეწილ საქმეებისაკენაც ყური გვეჭიროსო.

**ოსმალეთი.** ერთს გერმანულს გაზეთს კონსტანტინეპოლიდგან გასაოცარს ამბავს ატყობინებენ: აქ მყოფ უცხოეთის სამხედრო გემების 5 აფიცერი ცხენებით პერას (სტამბოლის მახლობლად) წასულიყვნენ. როცა ქალაქის იმ ნაწილში მიდიოდნენ, რომელსაც „თოფანე“ ეწოდება, იმათ მდაბიო ხალხი, (ოსმალელნი) თავს დაესხნენ და ცემა დაუწყესო. აფიცრები ძლიერ დაიჭრნენ და თავი ძლივს-ძლიობით განითავისუფლესო. იმ დროს, როცა ხალხის ბრბო ასე შეუბრალებლად სცემდა აფიცრებს, იქ დამსწრენი, უფრო შეგნებულნი ოსმალნი და მათ შორის მრავალი ქალი, ჰყვიროდნენ თურმე: „მოჰკალით, ეგენიო!“ იქვე პოლიციის მოხელენიც ყოფილან იმ დროს, მაგრამ საქმეში არ ჩარეულან.

# ნაკვესი

—

ერთი დალაქი ჰპარსავდა ერთს მებატონეს. მებატონემ უთხრა: ეხლა მოსავალი ხომ ჰხედავ სულ არ მოვიდა, შენც უნდა შენს ხელ-ფასს დაუკლოო.

— არა, ბატონო, უპასუხა მოსწრებულმა დალაქმა: მე ფასის დაკლება არ შემიძლიან. როცა მოსავალი არ მოდის, მებატონეები მწუხარებით ცხვირპირს ისე ჩამოუშვებენ ხოლმე, რომ პირი-სახე უგრძელდებათ და მე მეტი ჯაფა მინდებაო.

***

ერთს კაცს მწვანილით აკიდებული ცხენი მოჰყვანდა ბაზარში და ულმერთოდა სცემდა, რომ ჩქარა მიესწრო ბაზრისათვის. ერთმა მოხუცებულმა დედა-კაცმა ფანჯრიდამ დაინახა ეს უწყალო საქციელი და უთხრა ცხენის პატრონს:

— შენ, როგორც ვხედავ, შებრალება არა გაქვსო.

— მართალსა ბრძანებთო, უპასუხა ცხენის პატრონმა: მე მარტო მწვანილი მაქვს და სხვა არაფერიო.

***

ერთი კაცი მისულა თვალის მკურნალთან და შეუჩივლია, თვალი მტკივაო. გაუსინჯავს მკურნალს თვალი და უთქვამს:

— თქვენ ან არაყის სმაზე უნდა აიღოთ ხელი, ან თვალს გამოესალმოთო.

— თუ ეგრეა, მაშ მშვიდობით, ჩემო თვალოო! მწუხარებით დაიძახა სნეულმა.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

პეტერბურგში არსდება ქალთა კლუბი. კლუბის წევრებად მიიღებენ მხოლოდ იმდენად ღონიერ ქალებს, რომელთაც ორის ფუთის სიმძიმის აწევა შეუძლიანთ ერთის ხელით. მაგრამ, რადგანაც ასეთის ღონის პატრონი ქალი ბევრი არ აღმოჩნდება პეტერბურგში, ამიტომ „ნამდვილ“ წევრთა გარდა, კლუბში მიიღებიან „კანდიდატკებიც“, ე. ი. ისეთი ქალები, რომელნიც იმდენად ღონივრები აღმოჩნდებიან, რომ ცოტა ხანს შემდეგ, ვარჯიშობის წყალობით, შესძლებენ ორის ფუთის სიმძიმის აწევას.

ორი ფუთი არც ისე დიდი სიმძიმე არის, რომ ღონიერმა ქალმა ვერ ასწიოს. სახელგანთქმული ქალი ქ-ნი ჟუაპერე ადვილად სწევდა 650 გირვანქის სიმძიმეს. ინგლისელი ქალი ვიქტორიანა 100 გირვანქიან ქვებს ბურთებსავით ათამაშებდა ხელით და 600 გირვანქასა სწევდა. ერთხელ ვიქტორიანამ დაინახა, რომ რამდენიმე კაცი დაჰხვეოდა ერთს რკინის ყუთს და ადგილიდგან ვერ დაეძრათ. ვიქტორიანამ ეს ყუთი ადვილად ასწია და მეორე ადგილას გადიტანა. ეს ქალი 100 გირვანქიან ქვებსა და 200 გირვანქიან რკინის ჯოხს კოხტა აბგაში აწყობდა და ხელით დაჰქონდა თურმე.

ინგლისში ქალებს ყველგან ასწავლიან გიმნასტიკას და ამიტომ, საკვირველი არ არის, რომ იქ უფრო მეტია ღონიერი ქალები, ვიდრე სხვაგან.

ამ ბოლოს დროს მთელს ინგლისს აკვირვებს ღონით მისს დურნეტი. გამოდის სცენაზედ, იატაკზედ ხელებით ეყრდნობა წელზედ ადებენ ფიცრებს, ზედა სდგამენ პიანინოს, კაცი ჯდება და უკრავს, ქალი კი ამდროს ჰგალობს მშვენიერისა და სასიამოვნო ხმით.

რუსეთში ეხლა განთქმული მოჭიდავე ქალია მისს მემსონი, რომელიც ქალებს იწვევს საჭიდაოდ. ბელოსტოკში ამ ქალს დაეჭიდა ერთის პატივცემულის მოქალაქის ცოლი და წააქცია.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 მარტი.

**პარიჟი.** პალატა. მრავალი დეპუტატი შეგროვდა; ყველას დიდი აღელვება ეტყობა. ჟულიენი და კოვისროგი, რომელთა სახელებიც გაზეთებში იყო გამოცხადებული, აცხადებენ, რომ ცილი დაგვწამეს, ვთხოვთ პალატას, ჩამოგვართვას პარლამენტის წევრთა ხელ-უხლებელობის უფლება და ამითი შეძლება მოგვცეს ჩვენის თავის დაცვისაო. სალისი და გუდრანიც აცხადებენ, ცილი დაგვწამესო. რუვიეც ამბობს, მეც ცილი დამწამესო და თხოულობს, ამხადეთ ხელშეუხებლობის უფლებაო. მინისტრმა განაცხადა, რომ ნება არა მაქვს ეგ უფლება აგხადოთ და თქვენი სურვილი შევასრულოო. ყოველივე ეს მთავარ ბრალმდებელს უნდა შევატყობინო და ამიტომ კრება შევწყვიტოთ, რომ შემეძლოს ბრალმდებელთან მოლაპარაკებაო. პალატამ დაადგინა, კრება შესწყდესო.

**პარიჟი.** კრების დაწყებისათანავე ლავერტუჟონმა სთქვა, დავადგინოთ: „პალატამ მოიწონა რა მთავრობის განცხადება და სახეში მიიღო-რა მისი დაპირება, რომ საქმის მსვლელობას ვაცნობებთ პალატასაო, შესაძლებელად დაინახა გადასდოს და ჯერ-ჯერობით არ დანიშნოს გამომძიებელი კომისიაო“ დ შევუდგეთ სხვა საქმეთა განხილვასაო. მელინი დასთანხმდა ამ წინადადებას. პირველი ნაწილი წინადადებისა იმის შესახებ, რომ მოწონებულ იქმნას მთავრობის განცხადებაო, შეწყნარებულ იქმნა 329 ხმით წინაამდეგ 243 ხმისა, მეორე—270 ხმით წინაამდეგ 268 ხმისა. პალატა შეუდგა ბიუჯეტის განხილვას, რომელიც შეწყნარებულ იქმნა 465 ხმით წინაამდეგ 38-სა.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. კერზონმა მოახსენა პალატას, რომ ოსმალელთა რაზმს მალაქსის დროებით გაკეთებულ სიმაგრეში სურსათი სრულებით არა აქვს. აჯანყებულნი სურსათის მიტანას ხელს უშლიან. სამი ოსმალელი, რომელთაც სურსათი მიჰქონდათ, ევროპიელთა გემების თვალწინ დაჰხოცეს. ადმირალებმა შეუთვალეს აჯანყებულთა სარდლებს, სურსათის მიტანას ხელს ნუ შეუშლით, თორემ იძულებულ ვიქმნებით ძალ-მომრეობას მივმართოთო. 13 მარტს ადმირალი დეპეშით იუწყება, რომ აჯანყებულებმა, ადმირალების ბრძანების მიუხედავად, სურსათის მიტანას სიმაგრეში ხელი შეუშალეს. ოსმალეთის სამხედრო გემმა აჯანყებულთ დაუწყო სროლა. თუ არც ამის შემდეგ თავისი არ დაიშალეს აჯანყებულებმა, მაშინ ევროპიელთა გემებიც დაუწყებენ სროლასაო. ადმირალებმა ერთხმად გადასწყვიტეს, ეს ღონისძიება აუცილებლად საჭიროა სიმაგრის დასაცველადო. იტალიის ადმირალმა ნიშანი მისცა სხვებს და დაუწყეს აჯანყებულთ ზარბაზნის სროლა, რომელმაც ექვსს წუთს გასტანა. სროლა რომ გათავდა, აღმოჩნდა, რომ აჯანყებულებს სიმაგრე აუკლიათ და ცეცხლი წაუკიდებიათ. 14 მარტს ადმირალი იუწყება, რომ ოსმალელები წავიდნენ და თავი დაანებეს სიმაგრეს, რომელიც ბერძნებმა აიღეს ორის ზარბაზნის წყალობით. ამ ადგილამდე ევროპიელთა გემებიდგან ადამიანის თვალი ვერ მისწვდებოდა. ზემოხსენებულ სიმაგრის დაპყრობით აჯანყებულთ დაამტკიცეს, რომ არავითარს ყურადღებას არ აქცევენ ადმირალებს, რომლებმაც ინგლისის ადმირალის პირით გააფრთხილეს. ადმირალებმა გადასწყვიტეს ხელი შეუშალონ აჯანყებულთა მოქმედებას, მით უმეტეს, რომ მათ მიერ დაპყრობილი სიმაგრე სუდის თოფხანისაკენ მიმოვალ გზის პირზეა. 15 მარტს ადმირალი იუწყება: რადგანაც აჯანყებულნი თავისას არ იშლიან და ამას გარდა საუკეთესო ადგილას უდგათ ზარბაზნები და კანეას ემუქრებიან,—ადმირალებმა გადასწყვიტეს, ისე მოვექცეთ აჯანყებულებს, როგორც მტერს შეეფერებაო და თხოულობენ დაუყოვნებლივ ჯარის მიშველებას, რომ უკედ დაიცვან ქალაქი. აჯანყებულთა მოქმედებას საზღვარი უნდა დაედვას. კანეაში დიდი შიში და აღელვებაა. ამ ქალაქში თავშეფარებულ მცხოვრებლებს სიმშილი და ავადმყოფობა მოელით. იმავე დღეს ადმირალი იუწყება, ცნობები მივიღე, რომ, როდესაც ადმირალებმა ვასოსი გააფრთხილეს, მან ამის პასუხად აჯანყებულთ ბრძანება გასცა, სიმაგრე აიღეთო. 16 მარტს ადმირალი იუწყება, აჯანყებულებმა ზემოხსენებულ სიმაგრის აღების შემდეგ ალყა შემოარტყეს მეორე ციხე-სიმაგრეს, რომელიც ოსმალელებს უჭირავთ, სუდის კონცხის იქით. კრიტზედ საქმეთა ვითარება იმ გვარია, თითქოს ვასოსი დიდ სახელმწიფოებს ომს უცხადებდესო.

19 მარტი

**პეტერბურგი.** რუსეთში შავის ჭირის საწინააღმდეგოდ დაარსებული კომისია აცხადებს, რომ ვლადივოსტოკის მახლობლად საჭიროა გაიმართოს სამკურნალო-სასანიტარო სადგური, რომელშიაც უნდა შევიდნენ დიდ ოკეანეს ნაპირას მდებარე რუსეთის ნავთ-სადგურებში მოსული გემები, რათა ციმბარზე აღმოსავლეთიით რუსეთში შავი ჭირი არ გადმოვიდესო.

**ხარკოვი.** 18 მარტს ნაფიც მსაჯულთ განიხილეს საქმე პროხორცევისა, დამნაშავედ სცნეს და კატორგაში გაგზავნა მიუსაჯეს უვადოდ.

**პარიჟი.** დეპუტატი მარე დროებით თავისუფლად არის დატოვებული ავადმყოფობისა გამო, მაგრამ ორი პოლიციელი ჰდარაჯობს მისს სახლს, დეპუტატი ანტიდ ბუაიე დააპატიმრეს.

**ტულონი.** გემი „ბიუჟო“ კანეისაკენ წავიდა და საჭირო მასალა წაიღო ქვეითა ჯარის დაბანაკებისათვის, რომელიც კანეასა, სიტიას და სპინალონგში გადმოსხეს.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. ახალ ჩეხები და არსებულ წესის მომხრე აზნაურობა ჩეხიის სახელმწიფო უფლებათა ჩვეულებრივსა და უკვე ცნობილს შესწორებას თხოულობენ. ჩეხიის სოციალ-დემოკრატნი წინააღმდეგნი არიან „ჟამთა-ვითარებისაგან გაყვითლებულ საბუთის ქაღალდების ამოთხრისა“, თხოულობენ აწინდელ დაწესებულებათა მინიჭებას ავსტრიის ყველა ტომთათვის, უფლებათა თანასწორობის ძალით, და ამბობენ, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება „შევთანხმდეთ და მოვურიგდეთ ჩვენს გერმანელს ძმებსაო“.

**ლონდონი.** „Times“-ს სწერენ სალონიკიდგან: „საქმეთა ვითარება თან-და-თან მწვავდება. ამ ჟამად ვლასონის გარშემო არის 50,000 კაცი და კრუპპის სისტემის 300 ზარბაზანი. ჰშიშობენ, რომ საბერძნეთის გაუწვრთვნელი ჯარი საზღვარს გადავა ხოლმე და ოსმალეთის ჯარს თავს დაესხმებაო“.

**კონსტანტინეპოლი.** სკუტარში მომხდარ უწესოების დროს მოჰკლეს ორი კათოლიკე და ორიც დასჭრეს. ელჩებმა მიჰმართეს ვალის და მოსთხოვეს, ღონის ძიება იხმარეთ, რომ მაჰმადიანები საელჩოს სახლს თავს არ დაესხან, რადგანაც ამის შიში არისო.

---

პეტერბურგის ბირჟა, 18 მარტი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . | — „ | — „ | 210½ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — | — „ | 101⅝ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99⅛ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99⅜ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 98¾ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | 274½ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | — | 244 |

---

## წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

### I.

განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სახელზედ აკადემიაში დაარსებულ სტიპენდიის ფონდის სასარგებლოდ კიდევ შემოსწირეს:

თავად იასონ კონსტანტინეს ძემ აბაშიძემ 5 მ., არონ-ეფენდი-ხელ-ბაში ზადემ 1 მ., ეხსან-ბეგ-სანი-ბეგ-ზადე-ათაბეგოვმა 1 მ., ცრიალი-მუსტაფა-ალა-მეზინ-ოღლიმ 1., მ., მოლლა-იუსუფ-გუსეინ-ოღლიმ 1 მ., მუსტაფა-ჩემურ-ოღლიმ 1 მ., ოსმან-კოჩ ალი-ოღლიმ 1 მ.. ალი-ჯან-ბეკირ-ოღლიმ 1 მ., ოსმან-ალა-კეკეჯ-ოღლიმ 1 მ., ოსმან-ალა-ტრაპენ-ოღლიმ 1 მ., იუსუპ-ალა-კეშიშ-ოღლიმ 1 მ., ოსმან-ალა-კეკსუნ-ალა ოღლიმ 1 მ., გასან-ეფენდი-ომერ-ოღლიმ 1 მ., ასლან-ალა-არიფ-ალა-ოღლიმ 1 მ., ალი-ალა-ომერ-ალა-ოღლიმ 1 მ., ახმედ-ალა-კუჩუკსულო-ოღლიმ 1 მ., კედემ-ალა-მედეტ-ოღლიმ 1 მ., ასლან-ალა-ემინ-ალა-ოღლიმ 1 მ., პლატონ აბულაძემ 3 მ., მ. თაქთაქიშვილმა 1 მ., ა. მიქაბერიძემ 1 მ., ალ. ხუციშვილმა 2 მ., ნ. ბაქრაძემ 50 კ., ს. ყანჩელმა 3 მ., ანთიმოზ ჯუღელმა 2 მ., მ. მელიქოვმა 1 მ., კონსტანტინე დუბოვეცკიმ 50 კ., დ. ადჯამოვმა 2 მ., დერბენტის მაზრის ხაზინადრისაგან შეკრებილი 3 მ., ნიკოლოზ გამრეკელოვისაგან 2 მ. ზემო აღნიშნულ ფონდის შესაკრებად შემდგარი კომიტეტი მადლობას სწირავს შემომწირველთ. ამ ფულისა დღემდის იყო 1034 მ. 50 კ., ამიანად შესდგა 1077 მ. 50 კ.

კომიტეტის თავმჯდომარე დეკანოზი გ. ცაგარეიშვილი.

### II.

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ პოდპოლკოვნიკ ივანე ანტონის ძეს დუმბაძეს, რომელმაც შემოქმედის უფასო სახალხო სამკითხველოს შემოსწირა ას ერთი ცალი წიგნი და ყოველ წლიურად კიდევ თხუთმეტს მანეთს შეჰპირდა, დ. ბ. იოსებ ზემბას, რომელმაც იკისრა ყოველ თვიურად ათის ცალის წიგნის შემოწირვა მისის თხზულებისა ზემოხსენებულის წიგნთ საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ.

შემოქმედის წიგნთ-საცავის მწარმოებელი ფილიპე მგელაძე.

### III.

გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი მოცემულის გაზეთის შემწეობით უ... დესი მადლობა გამოვუცხადო მამა ... ანტონის ძეს სასანიოს, რომელმაც ... ბიის ნახევრად აშენებულ მაცხოვრის ... ლესიას შემოსწირა ას-ოცი მანათი ...

დაბალბიის მცხოვრებლებთა ...

სოლომონ ი...


# განცხადება

ახლად გამოვიდა და ისყიდება

## ფაბიოლა

ანუ წინანდელი ქრისტია...

გამოცემა უდაბურ წმიდის მმო...

თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი ...

ისყიდება ტფილისის ყველა წ... მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ... რგეთში თავართქილაძესთან, მ... ში დ. ნადირაძესთან, ბორჯ... სალარიძესთან, თელავში ილ... ლიშვილთან და სურამში არშა... ღაროვთან.

XXVIII г. **продолжается подписка на** 1897

ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ

# „НИВА“

выходящій еженѣдельно со многими безплатными приложен...

**Гг. подписчики „НИВЫ“ получатъ въ теченіе 1897 года:**

**52 №№** художественно-литературнаго журнала «Нива» ключающаго въ себѣ въ теченіе года около ... столбцовъ текста и 500 гравюръ и рисунко...

**12 ТОМОВЪ** собранія романовъ, повѣстей и разсказовъ

**П. Д. БОБОРЫКИНА,**

избранныхъ авторомъ и „Нивою“ изъ числа лучшихъ его прои... деній и представляющихъ все наиболѣе выдающееся и цѣнное ... было написано П. Д. Боборыкинымъ въ послѣднія 25 лѣтъ, ... ная съ появленія его извѣстнаго романа „Китай-городъ“.

Собраніе романовъ, повѣстей и разсказовъ П. Д. Боборык... будетъ отпечатано на хорошей глазированной бумагѣ, въ 12 ... махъ, которые, подъ заглавіемъ „Сборникъ Нивы“, будутъ вых... дить въ началѣ каждаго мѣсяца и заключать въ себѣ:

Томъ I. „Китай-городъ“. Романъ въ 5-ти книгахъ. Томъ II. „Безъ мужей“. Повѣсть. „Псарня“. Разсказъ. „Умереть—уснуть“. Разсказъ. „Пристроился“. Повѣсть. „Безвѣстная“. Разсказъ. Томъ III „По чужимъ людямъ“. Разсказъ. „За красненькую“. Разсказъ. „Послѣдняя депеша“. Разсказъ. „Три афиши“. Разсказъ. „Голубой лифъ“. Разсказъ. „У плиты“. Разсказъ. „Изъ новыхъ“. Романъ въ 3-хъ частяхъ. Часть I. Томъ IV. „Изъ новыхъ“. Романъ въ 3-хъ частяхъ. Части II и III. Томъ V. „На ущербѣ“. Романъ въ трехъ частяхъ. Томъ VI. „Обречена“. Повѣсть. „Проѣздомъ“. Повѣсть. «Вторая отъ воды». Разсказъ. „Въ отъѣздъ“. Разсказъ. Томъ VII „Перевалъ“. Романъ въ 3-хъ част. Части I и II. Томъ VIII. „Перевалъ“. Романъ въ 3-хъ част. Часть III. „Съ убійцей“. Повѣсть. „Гор... ленки“. Разсказъ. Томъ IX. „Ходокъ“. Романъ въ 3-хъ частяхъ. Томъ X. „Поумнѣлъ“. Повѣсть. „Измѣнникъ“. Повѣсть. „Морзъ Юзъ“. Разсказъ. Томъ XI. „Ранніе выводки“. Повѣсть. „Трупъ“. Разсказъ. „Василій Теркинъ“. Романъ въ 3-хъ част. Часть I. Томъ XII. „Василій Теркинъ“. Романъ въ 3-хъ част. Части II и III.

**При первомъ томѣ будетъ приложенъ гравированный на стали Ф. Брокгаузомъ въ Лейпцигѣ портретъ съ автографомъ П. Д. Боборыки...**

**12 КНИГЪ** „Ежемѣсячныхъ литературныхъ приложеній“, котор... будутъ выходить при „Нивѣ“ въ серединѣ ка... даго мѣсяца и содержать въ себѣ романы, ... вѣсти, разсказы и проч. современныхъ авторов...

**12 №№** **„парижскихъ модъ“**, выходящихъ ежемѣсячно и содержащихъ до 300 модныхъ гравюръ.

**12 ЛИСТОВЪ** рукодѣльныхъ и выпильныхъ работ... (около 300) и до 300 чертежей в... роекъ въ натуральную величину, выходящихъ ежемѣсячно.

**„стѣнной календарь“** на 1897 г., печатанный краскам...

**Подписная цѣна** на годовое изданіе „Нивы“ со всѣми вышео... наченными приложеніями: безъ доставки въ СПБ. 5 р. Съ доставкою въ СПБ. 6 р, 50 к. Безъ доставки въ Москвѣ (въ конт. Н. Н. Печковской) 6 р. Съ пересылкою во всѣ города и мѣстности Россіи 7 р. За-границу 10 р.

**Каждый новый подписчикъ получаетъ журналъ съ 1-го № со всѣми приложеніями.**

Требованія просятъ адресовать въ С.-Петербургъ, въ главную контору журнала „Нива“ (А. Ф. Марксу), Малая Морская, д. № 22.

(5—2)